შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის’

დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბერი ბრძანება N01/55

დამტკიცებულია

ცვლილებები განხორციელდა შპს ,,გეოგლობალ აკადემიის” დირექტორის
2025 წლის 25 აგვისტოს N15548
ბრძანების საფუძველზე
დანართი 35

შპს ,,გეოგლობალ აკადემიის”

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები

მარნეული
2021

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, მომქმედი კანონმდებლობისა და განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.

1.2. წინამდებარე მექანიზმების მიზანია პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს შპს ,,გეოგლობალ აკადემიის'' (შემდგომში - აკადემია) პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

მუხლი 2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

2.1. პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

2.2. მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

2.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი პრინციპები:

2.3.1.სამართლიანობა და კანონიერება - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კანონიერად, ადამიანის ღირსების შეულახავად;

2.3.2.კონკრეტული კანონიერი მიზნის არსებობის აუცილებლობა - ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა მიზნით ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება;

2.3.3.ადეკვატურობა და პროპორციულობა - მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. როგორც მონაცემთა კატეგორია, ასევე, მათი მოცულობა უნდა იყოს ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული;

2.3.4.ნამდვილობა და სიზუსტე - მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების ნამდვილობა, სიზუსტე და საჭიროებისამებრ მათი განახლება;

2.3.5.მონაცემების შენახვის ვადა - მონაცემები უნდა ინახებოდეს იმ ვადით, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად. თუ კონკრეტული მონაცემის

შენახვის ვადა კანონით არ არის განსაზღვრული, ეს ვადა უნდა განსაზღვროს თავად აკადემიამ დამუშავების მიზნიდან გამომდინარე.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

3.1.პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

3.1.1.არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
3.1.2.მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;
3.1.3.მონაცემთა დამუშავება საჭიროა აკადემიის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
3.1.4.მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის საგანმანათლებლო/შრომითი ინტერესების დასაცავად და აღნიშნულ ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე;
3.1.5.კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;
3.1.6.მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად.

3.2. მონაცემთა შეგროვებისას აკადემია ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

3.2.1.მონაცემთა დამუშავების მიზანი;
3.2.2.სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;
3.2.3.მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე , მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

3.3.ის პრაქტიკის ობიექტები და სხვა დაწესებულებები (შემდგომში - უფლებამოსილი პირები), რომლებთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები, ვალდებულნი არიან იმ პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, დაიცვან წინამდებარე მექანიზმებისა და „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. დაუშვებელია მათ მიერ ზემოაღნიშნულ მონაცემთა დამუშავება მემორანდუმის/ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ.

3.4.აკადემია მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს უფლებამოსილ პირთა მიერ წინამდებარე მუხლის 3.3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მიღებულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებთან მიმართებით.

3.5.უფლებამოსილ პირსა და აკადემიას შორის დავის წარმოშობის ან თანამშრომლობის შეწყვეტის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მოთხოვნისთანავე გადასცეს აკადემიას მის ხელთ არსებული მონაცემები.

3.6.აკადემია უზრუნველყოფს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გატარებას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვა შემთხვევითი ან უკანონო

განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან , მოპოვებისაგან , ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან .

3.7.აკადემიის მიერ პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომებია:

3.7.1.აკადემიაში დამუშავებული პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირება და აკადემიის პერსონალისათვის შესაბამისი განმარტებებისა და ინსტრუქციების მიცემა აღნიშნულ მონაცემთა დაცვის ვალდებულების შესახებ;

3.7.2.ფაილურ სისტემათა კატალოგის შექმნა;

3.7.3.შენობის ვიდეოთვალთვალის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელება;

3.7.4.საჯარო ინფორმაციის გაცემა ხორციელდება აკადემიის იურისტის მიერ შესაბამისი ექსპერტიზის განხორციელების შემდგომ, რომლის შედეგადაც გასაცემი ინფორმაციიდან გამოიყოფა ან დაიფარება შესაბამისი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის შემდგომ განხორციელდება მათი გაცემა.

3.7.5.პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისას აკადემია უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაციას: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში;

3.7.6.პერსონალის, უფლებამოსილი პირებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენლების ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა არსის, მათი დაცვის მნიშვნელობისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესახებ;

3.7.7მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვის უზრუნველყოფა;

3.7.8.აკადემიის ყველა თანამშრომელთან, აგრეთვე, უფლებამოსილ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებენ აღნიშნულ პირთა ვალდებულებას დაიცვან იმ პერსონალურ მონაცემთა საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა შესაბამისი სამუშაოს/მომსახურების შესრულებისას. ამასთანავე, მათ ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან ხსენებულ მონაცემთა საიდუმლოება მათი უფლებამოსილების დასრულების შემდგომაც.

მუხლი 3. მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციისა და მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება

3.1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, აკადემიას მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

3.1.1.მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება;

3.1.2.მონაცემთა დამუშავების მიზანი;

3.1.3.მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

3.1.4.რა გზით შეგროვდა მონაცემები;

3.1.5.ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

3.2. მონაცემთა სუბიექტისათვის წინამდებარე მუხლის 3.1 პუნქტის 3.1.5. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ მონაცემები, კანონის თანახმად, საჯაროა.

3.3. მონაცემთა სუბიექტს წინამდებარე მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

3.4. წინამდებარე მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი.

3.5. პირს უფლება აქვს, გაეცნოს აკადემიაში არსებულ თავის პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

3.6. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში (მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით) აკადემია ვალდებულია, მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. აკადემიას უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს მონაცემთა სუბიექტის აღნიშნული მოთხოვნა და აცნობოს მას უარის თქმის საფუძველი . თუ თავად აკადემია ჩათვლის, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები არასრულია, არაზუსტია ან არ არის განახლებული, მან შესაბამისად უნდა გაასწოროს ან განაახლოს მონაცემები და ეს აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.

3.7. მონაცემთა სუბიექტის მიერ წინამდებარე მუხლის 3.6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის შემდეგ აკადემია უფლებამოსილია განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე დაბლოკოს მონაცემები. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 3 დღის ვადაში და ძალაშია მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, წაშლისა და განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება დაბლოკვის მიზეზის არსებობის განმავლობაში უნდა ერთოდეს შესაბამის მონაცემებს.

3.8. აკადემიამ წინამდებარე მუხლის 3.6. პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა ყველა მიმღებს უნდა აცნობოს მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია მონაცემთა მიმღებების სიმრავლისა და არაპროპორციულად დიდი ხარჯების გამო. აღნიშნულ შემთხვევაში ინფორმაციის მიმღები მხარე ვალდებულია შესაბამისად გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები.

3.9. მონაცემთა სუბიექტს შეიძლება შეეზღუდოს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული უფლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.10. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს წინამდებარე მექანიზმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს, ასევე საჩივარი წარადგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

მუხლი 4. შენობის ვიდეოთვალთვალი

4.1. აკადემია შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით ახორციელებს შენობის ვიდეოთვალთვალს.

4.2. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ხორციელდება შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგი. აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას განათავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი.

4.3. ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ასევე შენობის შიგნით, ვინაიდან ეს აუცილებელია საკუთრების დასაცავად და აღნიშნულის სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. აღნიშნულის თაობაზე და ,აგრეთვე, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულია აკადემიის ყველა თანამშრომელი და ასევე ყველა პროფესიული სტუდენტი/მსმენელი.

4.4. ვიდეოთვალთვალი არ ხორცილდება აუდიტორიებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში .

4.5. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება პროფესიული სტუდენტების, ან აკადემიაში დასაქმებული პირების ქცევის მონიტორინგის ან/და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით. ასევე, დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება აუდიტორიებში სასწავლო პროცესის კონტროლის მიზნით, ამის შესახებ პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაბამისი გაფრთხილების მიუხედავად.

4.6. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით და თუ ამ მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია.

4.7. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას აკადემიაში დასაქმებული ყველა პირი უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

4.8. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მომზადებული ჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა დაუშვებელია გარდა გამონაკლისისა. თუ აკადემიას მიმართავს სამართალდამცავი ორგანო და მოითხოვს ვიდეოჩანაწერს, აკადემიამ ჩანაწერის გადაცემის საკითხი უნდა შეაფასოს ინდივიდუალურად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით (შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით ვიდეოჩანაწერის გადაცემისთვის, შესაძლოა, აუცილებელი იყოს მოსამართლის განჩინება, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილება).

4.9. მონაცემთა უკანონო, ან შემთხვევითი გამჟღავნების, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომის პრევენციისთვის აკადემიის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვიდეოსათვალთვალო სისტემის წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი და მისი სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შვებულების პერიოდში შემცველელი პირ(ებ)ი.

4.10. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა (მონაცემთა ბაზა, სადაც პერსონალური მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით). სისტემა ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

4.11. მონაცემთა ყველა დამმუშავებელი ვალდებულია თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, რომელიც მოიცავს ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალურ აღწერილობას.

მუხლი 5. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება

5.1. ბიომეტრიული მონაცემი არის პირის ფიზიკური, ფსიქიკური, ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისთვის და იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მაგალითად, ბიომეტრიული მონაცემებია თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, სახის მახასიათებლები.
5.2. დაუშვებელია აკადემიაში პროფესიული სტუდენტების და პერსონალის შესვლა-გასვლის კონტროლი თითის ანაბეჭდის საშუალებით.

მუხლი 6. მონაცემთა დამუშავება აკადემიის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით

6.1. აკადემიაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით აკადემიას შეუძლია შეაგროვოს შემდეგი მონაცემები: სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები.
6.2.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი ჩაწერის დღიდან სამ წელს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ისინი უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.

მუხლი 7. წვდომა პერსონალურ მონაცემებზე

7.1.აკადემიის პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აკადემიამ შესაძლოა, უზრუნველყოს სატელეფონო შეტყობინებების, ან/და სხვა საშუალებებით. თუმცა, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მისთვის და არა ნებისმიერი მესამე პირისთვის.
7.2.დაუშვებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთნ დაკავშირებული შენიშვნების განხილვა სალექციო პროცესის მიმდინარეობისას, სხვა პროფესიული სტუდენტების თანდასწრებით.
7.3.არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აქვს მშობელს, ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელს. რაც შეეხება სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებს, მათ შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ პროფესიული სტუდენტის თანხმობით.
7.4. სავალდებულოა მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისას მოხდეს ინფორმაციის გაცემის ფაქტების აღრიცხვა, რაც უნდა მოიცავდეს შემდგომ ინფორმაციას:

7.4.1.რა მონაცემი იქნა გაცემული;
7.4.2.ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

მუხლი 8. მონაცემთა უსაფრთხოება

8.1.საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაევალება პირს საჭირო მონაცემთა დამუშავება.
8.2.პირი რომელიც ახდებს მონაცემთა დამუშავებას ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

8.3.პირი რომელიც ახდებს მონაცემთა დამუშავებას ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.
8.4. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.
8.5.პირი რომელიც ახდებს მონაცემთა დამუშავებას ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.
8.6.მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1.წინამდებარე მექანიზმები დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

9.2.წინამდებარე მექანიზმებში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.